ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1472864

ნომერი: AR1248890

თარიღი : 05.09.2014

გაცემის თარიღი : 11.09.2014

გაცნობის თარიღი : 11.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 68ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ელიკაშვილი პ/ნ 01021007543
- თბილისი თემქა X"ბ" კვ. კორ. 4 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ,,kazbegi1881,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202191699
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი თიფაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008004721

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5899.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4337.74
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 12.2

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 9.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2.7
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.7

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, უზნაძის ქ. N68ა–ში მდებარე შენობა–ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. გრაფაში "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: ატვირთულ ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული მასალა, ზომები, ნიშნულები;
2. მოთხოვნის ტექსტში მითითებული უნდა იყოს სადემონტაჟო შენობების საკადასტრო გეგმაზე მონიშნული ნომრების შესაბამისად;
3. გრაფაში "დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი" შეცდომითაა მითითებული დამკვეთის გვარი (უნდა ეწეროს ირაკლი თოფაძე);
4. დემონტაჟის პროექტში არ არის დეტალური ანაზომები (ჭრილები, ფასადები);
5. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ–არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);
6. არ არის წარმოდგენილი ბანერის ფოტო;
5. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (რეგისტრაციის N882014127340, 13.03.14) მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა–ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის თანხმობა დემონტაჟთან დაკავშირებით;
6. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა დემონტაჟის დროს მომიჯნავე შენობების უსაფრთხოების შესახებ.

თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექცია"–ს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.